საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №275/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 2 ნოემბრის №275 საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ პირველივე სხდომაზე გამოთქვა უკმაყოფილება დავის სასამართლოს წარმოებაში არსებობის გამო, რადგან მას ეს საქმე უკვე განხილული ჰქონდა. ამასთან, 2018 წლის 19 ოქტომბერს გამართულ სასამართლო პროცესზე მხარის წარმომადგენელს, რომელმაც სხდომის გადადება მოითხოვა განუცხადა, რომ ამ სარჩელს არ დააკმაყოფილებდა, რადგან ერთხელ უკვე განხილული ჰქონდა. ამდენად, მოსამართლემ მხარეს მიანიშნა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა და რომ მის ჩართულობას საქმეში აზრი არ ჰქონდა.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 7 ივნისს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართეს -- -- და -- -- (წარმომადგენელი -- --), მოპასუხეების - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, -- -- მერიის -- --, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, -- -- მიმართ და მოითხოვეს 1998 წლის 15 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულების №-- და მის საფუძვლებზე უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: -- -- კორპუსი №--, ბინა №- რეგისტრაციის ბათილად ცნობა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის, 2005 წლის 25 მარტს გაცემული ორდერის №-- საფუძველზე მოსარჩელის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დავალდებულება მისამართზე: -- -- კორპუსი №--, ბინა №--.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) ხარვეზის შევსების შედეგად -- -- და -- -- სარჩელი მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილი იქნა დასაშვებად; საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირებად ჩაბმული იქნენ -- -- და -- --.

2018 წლის 11 ივლისს, მოსარჩელე - -- -- წარმომადგენელმა -- -- სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე განცხადებით მიმართა სასამართლოს, ასევე იშუამდგომლა -- -- მერიის მოპასუხედ ჩართვის თაობაზე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ივლისის განჩინებით -- --, -- --ს დაზუსტებული (გაზრდილი) სარჩელი ხარვეზის შევსების შედეგად მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილი იქნა დასაშვებად.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

2018 წლის 3 დეკემბერს, მოსარჩელეების - -- -- და -- -- წარმომადგენელმა -- -- შუამდგომლობით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ნოტარიუს -- -- სანოტარო ბიუროდან უძრავ ქონებაზე, მდებარე: -- -- კორპუსი №--, ბინა №--, პრივატიზაციის ხელშეკრულების №-- და მასზე დართული დოკუმენტების სრულად გამოთხოვა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელეების - -- --, -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; ნოტარიუს -- -- სანოტარო ბიუროდან გამოთხოვილ იქნა პრივატიზაციის ხელშეკრულება №-- თარიღი 1998 წლის 15 მაისი; ადგილობრივი მმართველობის საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაცია -- -- და მასზე დართული დოკუმენტები სრულად უძრავ ქონებაზე, მდებარე: -- -- კორპუსი №--, ბინა №--.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 იანვრის საოქმო განჩინებით მოსარჩელეების - -- -- და -- -- შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 იანვრის განჩინებით მოპასუხე - -- -- ეცნობა, რომ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დაინიშნა 2019 წლის 7 თებერვალს 14:00 საათზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 მარტის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 11 ნოემბრის №275 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2020 წლის 2 ოქტომბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული გარემოებების შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინურ საქმეზე მსჯელობისას მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28^1 მუხლი ემსახურება პროცესის ეკონომიის პრინციპის რეალიზაციას, რაც ადმინისტრაციულ სარჩელთან მიმართებაში გულისხმობს ადმინისტრაციული სარჩელის გარდაქმნის, სახეცვლილების, შეცვლის შესაძლებლობას, თუმცა მიიჩნია, რომ 28^1 მუხლი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც იმპერატიული დანაწესი, რომელიც ავალდებულებს სასამართლოს თავად განსაზღვროს სარჩელი. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ განუმარტა მხარეებს სასარჩელო მოთხოვნის სწორად და არაორაზროვნად ჩამოყალიბების მნიშვნელობა და სარჩელის ტრანსფორმირების აუცილებლობა, რაც თავის მხრივ, შეესაბამება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას, თუმცა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ სხდომაზე მოსამართლის მიერ განხორციელებული მიმართვები და სარჩელის ტრანსფორმირების მცდელობის ფორმა (ეს რა მოთხოვნაა რა არის... რა მოთხოვნა არის ეს თავდაცვის სამინისტრო წაიღებს და მიიტანს ორდერს და რეესტრში გამიტარეო ეს რა მოთხოვნა არის ...; მეორე მოთხოვნა რას ნიშნავს გაგიგიათ სადმე, რომ თავდაცვის სამინისტრო ორდერს წაიღებს და რეესტრს ეუბნება რომ გაატარეთ რეგისტრაციაში არსებობს ასეთი?! და ა.შ.) შესაძლებელია შეფასებულიყო მოსამართლის მიერ არაეთიკური მიმართვის ფორმად.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს და 13 წევრთაგან 13 ხმით მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.

5. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

მოსამართლე -- -- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ახსნა-განმარტება წარუდგინა 2020 წლის 4 დეკემბერს. მოსამართლემ ახსნა-განმარტებაში ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28[1] მუხლზე და აღნიშნა, რომ მუხლი ემსახურება პროცესის ეკონომიურობის პრინციპის რეალიზებას, რაც ადმინისტრაციულ სარჩელთან მიმართებაში გულისხმობს ადმინისტრაციული სარჩელის გარდაქმნის სახეცვლილების, შეცვლის შესაძლებლობას. -- -- და -- -- მიერ აღძრული სარჩელის განხილვისას, მის მიერ სწორედ დასახელებული მუხლის საფუძველზე, მოსამართლეზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, სათანადო გულისხმიერებით განხორციელების მიზნით, მხარეებს განემარტათ სასარჩელო მოთხოვნის სწორად და არაორაზროვნად ჩამოყალიბების მნიშვნელობა და სარჩელის ტრანსფორმირების აუცილებლობა. ამასთან, სარჩელის ტრანსფორმირების მცდელობის მიზნით სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ განხორციელებული მიმართვები მიზნად არ ისახავდა სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის, ან რაიმე სხვა ამგვარი დამოკიდებულების გამოხატვას, ასევე ადგილი არ ჰქონია მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევას.

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი. ხოლო, მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

ბანგალორის პრინციპების მეორე მუხლის მიხედვით მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე; ხოლო 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8).

ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28[1] მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. განსხვავებით სამოქალაქო პროცესისაგან, პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, წინასწარ შექმნილი განწყობა შეიძლება გამოვლინდეს სიტყვიერი ან ფიზიკური ფორმით. ამის მაგალითებია: ეპითეტები, ინსტიტუციები, შეურაცხმყოფელი მეტსახელები, უარყოფითი სტერეოტიპების შექმნა, სტერეოტიპებით ნასაზრდოები უხეირო ხუმრობები (მაგ.: სქესის, რომელიმე კულტურისა თუ რასისადმი კუთვნილების შესახებ და სხვ.)...[1]

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ პირველივე სხდომაზე გამოთქვა უკმაყოფილება დავის სასამართლოს წარმოებაში არსებობის გამო, რადგან მას ეს საქმე უკვე განხილული ჰქონდა. ამასთან, მოსამართლემ მხარეს მიანიშნა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სასამართლო და რომ მის ჩართულობას საქმეში აზრი არ ჰქონდა.

მნიშვნელოვანია, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დისპოზიციურობა საქმის წარმოების უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპია. დისპოზიციურობის პრინციპი გამოხატავს მხარეთა

[1] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი 2015, §58, გვ. 93

თავისუფალი მოქმედების იმ არეალს, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ეფუძნება. აღნიშნული პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს მხარეთა უფლებას, საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად თავად მიმართონ სასამართლოს და დავის საგანიც თავადვე განსაზღვრონ. ისინი თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. დისპოზიციურობის პრინციპი ესაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და გარანტირებული მხარეთა შესაძლებლობა თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებებით.

ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მნიშვნელოვანია, რომ პროცესუალური უფლებები და მატერიალური მოთხოვნები არ უნდა იქნეს უარყოფილი მოსარჩელის გამოუცდელობის გამო, არამედ მოსამართლე უფლებამოსილია ხელი შეუწყოს საჩივრის ავტორს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული სამართალი სხვა სამართლის დარგებისგან განსხვავებით მოსამართლეს აძლევს უფრო ფართო უფლებამოსილებას, მოსამართლეს შესაძლებლობა აქვს მიუთითოს მხარეს კონკრეტული სამართლებრივი დავის სავარაუდო შედეგის თაობაზე და დაეხმაროს მას სარჩელის სწორად ფორმულირებაში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა მოსამართლე -- -- მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტება. მიიჩნია, რომ მოსამართლემ მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად განხორციელების მიზნით განუმარტა მხარეებს სასარჩელო მოთხოვნის არაორაზროვნად ჩამოყალიბების მნიშვნელობა. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლის მიმართვები მიზნად ისახავდა სასამართლო პროცესის სწორად წარმართვას. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევას, ხოლო მოსამართლის მიმართვები მიზნად არ ისახავდა რომელიმე პირის უპატივცემულობას.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამ კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა გაითვალისწინეს მოსამართლის ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები და ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დისციპლინური საქმის გამოკვლევის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75^{8} მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №247/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი